



იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელშეკრულების

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 045/01-05

"09" "09" "2016" წ

ქუთაისი

ნათია კოპალიანის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე

პასუხისმგებელ პირად დანიშვნის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 36-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების მე-7 მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დანიშნოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ნათია კოპალიანი, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად;
2. დაევალოს ნათია კოპალიანს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 20 იანვრის #006/01-05 ბრძანება „ბესიკ ჭანტურიას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად დანიშვნის შესახებ“;
4. დაევალოს აპარატს (ბესიკ ჭანტურია) წინამდებარე ბრძანების დაისტერეტიკოვდ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაზა შაჩავაძე



იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 006/01-05

"20" "01" "2016 წ"

ქუთაისი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 36-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების“ მე-7 მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაინიშნოს წარმომადგენლობის აპარატის უფროსი ბესიკ ჭანტურია იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად;
2. განთავისუფლდეს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ნათია კოპალიანი წარმომადგენლობის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირის მოვალეობისაგან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დეკრეტულ შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით;
3. დაევალოს ბესიკ ჭანტურიას საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად;
4. დაევალოს აპარატს (ბ.ჭანტურია) წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმძღვანელი

ზაზა ჩიკავა